

მოსახლეობის
ჯანრმთელობისა და
უსაფრთხოების დაცვის
გეგმა 2018 წ. ზაფხულის
სეზონზე სანაპიროს
გასახსნელად
(ვერსია 6)

სანაპირო დაცვა - ბათუმი

კონტრაქტის #: P42414-SUTIP4-ICB-01-2016 და
შესწორება #2

2018 წ. 20 აპრილი

სარჩევი

პროექტის აღწერა	4
შესავალი	5
მოქმედების სფერო	7
რისკის ანალიზი ღონისძიებების მომზადებისას და ზაფხულის სეზონზე	8
ოპერატიული მითითებები კონტრაქტორის და უნიციპალიტეტისთვის.....	13
ლოკაციები და ხანგრძლივობა:	14
სამუშაოები	15
მუშახელი.....	16
ტექნიკური რესურსები სამუშაო რაიონში.....	17
ესკიზები	18

პროექტის აღწერა

ბათუმი არის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქი და ერთერთი უმთავრესი ქალაქი საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკურ, კულტურულ და ტურისტულ განვითარებაში. სხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებს შორის, რომლებიც ხელს უწყობს ქალაქისა და რეგიონის შემდგომ განვითარებას, სანაპირო ზოლის კეთილმოწყობა ერთერთ პრიორიტეტს წარმოადგენს.

ნაპირსამაგრის დეტალური დაგეგმარება დაიწყო 2015 წელს იმ კვლევის შემდეგ, რომელიც საჭირო იყო „ხისტი“ გადაწყვეტიდან - ტალღმჭრელებიდან მოქნილ გადაწყვეტაზე გადასასვლელად, რაც უმთავრესად სანაპიროს აღდგენას ეფუძნებოდა. ხანგრძლივი პროცესის შემდეგ ეს მიდგომა დამტკიცდა 2016 წ. დეტალური დიზაინი ეყრდნობოდა 2014 წ. ბატიმეტრიულ მონაცემებს მას შემდეგ, რაც გადამოწმდა, რომ მოკვლევის შემდეგ, დეტალური დაგეგმარების დაწყების დროისთვის, ადგილი არ ჰქონია მოულოდნელ ცვლილებებს.

შემდგომი ორი წლის განმავლობაში სიტუაცია მკვეთრად და ისეთი ინტენსიურობით შეიცვალა, რომ სრულიად განსხვავდებოდა ბოლო 15 წლის განმავლობაში არსებული მდგომარეობისგან.

2017 წლის მაისში, მგფ-ის სპეციალური დაკვეთით, Technital-მა წამოადგინა ანგარიში ამ უჩვეულო ეროზიასთან დაკავშირებით, სადაც მოცემული იყო მისი ახსნის მცდელობა და ნაპირსამაგრის სექციების ადაპტირების წინადადებები.

ბათუმის სანაპირო დაცვის შეთავაზებული პროექტის გარემოსდაცვითი კატეგორიაა „ბ“ (აგბ-ის სიფრთხილის ღონისძიებათა ოპოლიტიკა, 2009 წ.); „ბ“ კატეგორიაში მოაზრებული ინფრასტრუქტურა არ უნდა ახდენდეს შეუქცევად ან პერმანენტულ ნეგატიურ გარემოსდაცვით ზემოქმედებას მშენებლობის პროცესში ან მის შემდგომ.

შემოთავაზებული პროექტის ძირითად მიზანს წარმოადგენს ბათუმის სანაპიროს დაცვა ეროზიისგან. ბათუმიდან სამხრეთ-დასავლეთით არსებული დაახლოებით 5 კმ სიგრძის სანაპირო ზოლი ეროზიას განიცდის. წარსულში ამ მონაკვეთზე უკვე დაიკარგა სახლები და სახნავ-სათესი მიწები. სათანადო დამცავი ღონისძიებების გატარების გარეშე ეროზია გაგრძელდება აეროპორტის რაიონში და შესაძლოა ბათუმის პლიაჟებს და სანაპირო ზოლსაც შეეხოს. სანაპიროს სამხრეთ მონაკვეთზე მოქმედის ეროზიისგან მისი დაცვის ალტერნატივების შეფასებამ გვიჩვენა, რომ ნაპირის დაცვისა და აღდგენის ყველაზე ეფექტიანი

მეთოდია რბილი ჩარევა, რაც გულისხმობს დანალექის რეცირკულაციას სანაპიროს ჩრდილოეთ მონაკვეთს (სადაც იგი ბუნებრივი ტრანსპორტირების გზით გროვდება) და სამხრეთ ნაწილს (საიდანაც იგი გატანილია ეროზიის გამო) შორის.

სანაპირო ზოლის დაცვის ამ ღონისძიებების გასატარებლად მუნიციპალური განვითარების ფონდმა (MDF) ხელშეკრულება გააფორმა კომპანიასთან Struijk Group Georgia Branch (Struijk). სამშენებლო კონტრაქტი MDF-სა და Struijk-ს შორის ხელმოწერილ იქნა 2016 წ. 15 ნოემბერს და მისი ხანგრძლივობა შეადგენს 20-დან 34 თვემდე. პროექტის განხორციელება უკვე დაიწყო 2017 წლის თებერვალში.

პროექტის მონაწილეები არიან: კლიენტი - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (MDF), კონსულტაციები, საინჟინრო სამშაოეი და დიზაინი - "Technital" & "Saunders Group" (Engineers) და კონტრაქტორი - "Struijk Group Georgia Branch".

შესავალი

პროექტის განხორციელების პერიოდში, საპროექტით გათვალისწინებულ სამუშაოებთან დაკავშირებით შესაძლოა წამოიჭრას გარემოსდაცვით და სოციალურ დარგში სიფრთხილის ღონისძიებებთან დაკავშირებული და უფლების მოპოვებს პროცესებთან დაკავშირებული რამდენიმე პრობლემა. მაგალითად, პროექტით გათვალისწინებული სამუშაოებიდან გამომდინარე რამდენიმე გარემოსდაცვითი და სოციალური პრობლემა შეიძლება იყოს სამშენებლო სამუშაოების ინტენსიური გრაფიკი, სამშენებლო სატრანსპორტო საშუალებების მიმოსვლის შეუსაბამო დრო, სამშენებლო სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები, ხმაური და ჰაერის დაბინძურება, ეკოლოგიური დარღვევები. კულტურული კონფლიქტები ემიგრანტ მუშებს შორის და ა.შ.

დაზარალებული პირებისთვის პროექტის ხელმძღვანელობასთან უშუალო კავშირის და მათი საჩივრების აღრიცხვის და მოგვარების დროულად უზრუნველსაყოფად, მგფ-ის მიერ პროექტის ფარგლებში შეიქმნა საჩივრებზე რეაგირების მექანიზმი.

შექმნილია და სამშენებლო ობიექტზე ხელმისაწვდომია საჩივრების სარეგისტრაციო ჟურნალი. ასევე, ადგილობრივ მუნიციპალიტეტშია ჟურნალის ეკზემპლარი, სადაც მოცემულია საჩივრებთან დაკავშირებული საკონტაქტო პირების - SC-ის სოციალურ საქმეთა მენეჯერის

მაია ხანდურდიევასა და კახაბერ ბერიძის (ადგილობრივი მოქალაქე) მობილური ტელეფონის ნომრები. ორივე პუნქტში შესაძლებელია ადამიანებისგან საჩივრების მიღება გარემოსდაცვითი უსაფრთხოების ღონისძიებების საკითხებზე, SSEMP-ის შეუსაბამო ან არაადექვატური განხორციელების გამო მათი შეწუხების და უხერხულობის შემთხვევაში. საჩივრების არსებობის შემთხვევაში ისინი დარეგისტრირდება მონაცემთა ბაზაში, მიენიჭება საჩივრის ნომერი და რეგისტრაციის თარიღი. მოხდება საჩივრის შესწავლა და მომჩივანს აცნობებენ ვადებს, რომელთა განმავლობაშიც გატარდება მაკორექტირებელი ღონისძიებები, თუკი წამოჭრილი პრობლემა რეალისტურია.

ზოგიერთ შემთხვევაში იმ საჩივრების ეფექტიანი მოგვარება, რომლებიც ექცევა კონტრაქტორის (CC) უშუალო პასუხისმგებლობის ქვეშ, შესაძლებელია კონტრაქტორის (CC) და ზედამხედველი კონსულტანტის (SC) დონეზე, მგფ-ის ან, უკიდურეს შემთხვევაში, აგბ-ის ჩართულობის გარეშე.

CC და SC დონეზე მოსაგვარებელი საჩივრები მოიცავს:

- სოციალურ პრობლემებს კონტრაქტორის სამიქნობასთან დაკავშირებით;
- გარემოსდაცვით მართვას;
- მოსახლეობის უსაფრთხოებას.

მგფ, როგორც EA, ხელს უწყობს საჩივრების მოგვარებას პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული საჩივრების მოგვარების პროცესის (GRP) განხორციელების გზით. თუ ასეთი საჩივრები იგზავნება მგფ-ში, იგი მიაწვდის საჩივრებს შესაბამის ხელმძღვანელობას. ოფიციალური ადმინისტრაციული ორგანოები ვალდებული არიან რეაგირება მოახდინონ მოსახლეობისგან ან სხვა დაინტერესებული მხარეებისგან მიღებულ საჩივრებზე საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

საქართველოში არსებული სამართლებრივი და ადმინისტრაციული სისტემის მიხედვით, მოსახლეობისა და დაინტერესებული მხარეების გარემოსდაცვითი საჩივრების მოგვარებაზე პასუხისმგებელია რამდენიმე ერთეული. საპროექტო ობიექტებზე გარემოს დაცვაზე უშუალოდ პასუხისმგებელი ორგანოებია: გარემოს დაცვის სამინისტრო (MoE), მუნიციპალური ოფისები (გამგეობა) და ბათუმის მერია. დაზარალებულ მოსახლეობას და დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ გააგზავნონ პროექტით გამოწვეულ გარემოსდაცვით ზემოქმედებასთან დაკავშირებული საჩივრები უშუალოდ ზემოთ აღნიშნულ, გარემო დაცვაზე

პასუხისმგებელ ადმინისტრაციულ ორგანოებში.

საჩივრების მოგვარების მექანიზმის (GRM) ეფექტიანი განხორციელების მიზნით, საპროექტო ობიექტზე ყოველთვიურად ტარდება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ღონისძიებები GFP-ების და CC და SC პერსონალი მონაწილეობით. შეხვედრებზე მონაწილეები განიხილავენ რამდენიმე სხვადასხვა საკითხს; განსაკუთრებული ინტერესი ადგილობრივი მაცხოვრებლების მხრიდან გამოითქვა ზაფხულის პერიოდში საპროექტო სამუშაოებთან დაკავშირებით. მათ ყურადღება გაამახვილეს ზაფხულის სეზონზე პლაჟების ხელმისაწვდომობის მნიშვნელობაზე.

აგბ-ის მისიამ მიმართა თხოვნით CC-ს, PIU/MDF-სთან კოორდინაციით მეთოდოლოგიის და მოსახლეობის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის გეგმის შექმნის თაობაზე, რათა სათანადოდ იქნას ორგანიზებული სამშენებლო სამუშაოების ზაფხულის პერიოდში.

მოქმედების სფერო

ამ გეგმის მიზანს წარმოადგენს იმ ინფორმაციისა და მეთოდის მოწოდება, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობისა და ტურისტების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას ზაფხულში, ღია სანაპირო მონაკვეთის პერიოდში; გეგმაში ასევე მოცემული იქნება ინფორმაცია არსებული რისკებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომელთა გატარებაც საჭიროა ამ რისკებთან გასამკლავებლად და სიფრთხილის ყველა ზომის მისაღებად, რათა უზრუნველყოფილ იქნას ღია მონაკვეთის უსაფრთხოება.

რისკის ანალიზი ღონისძიებების მომზადებისას და ზაფხულის სეზონზე

აქტივობები	რისკის იდენტიფიცირება	რისკის დონე	მიღებული ზომები	პასუხისმგებელი პირი
პლაჟზე სიარული	ვარდნის რისი პლაჟზე არა-უსაფრთხო წვდომის გამო	საშუალო	სიარულის და ვარდნის რისკის თავიდან ასაცილებლად უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო წვდომა პლაჟზე. დაქანება თანაბარი უნდა იყოს რათა ადგილობრივები და ტურისტები უსაფრთხოდ მივიდნენ პლაჟამდე	ობიექტის მენეჯერი
ტერიტორიის საზღვრების დარღვევა	ტექნიკასთან ან ფაქტობრივ სამუშაო ტერიტორიასთან საკმაოდ ახლოს მისვლის რისკი, რაც სახიფათოა	მაღალი	პლაჟზე მისასვლელის დახრილი ნაპირები გადაკეტილი უნდა იყოს ღობეებით, რათა გაიმიჯნოს პლაჟზე მისასვლელი და ობიექტის ტერიტორია; გვერდითა ღობეებზე უნდა დამაგრდეს შესაბამისი მაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნები, რომლებიც ამცნობენ ადგილობრივებს და ტურისტებს არსებული რისკების და აკრძალული ქმედებების ან ნებისმიერი სახიფათო ინფორმაციის შესახებ; მენეჯერმა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დარგში უნდა ჩაატაროს სისტემატური მონიტორინგი, რათა უზრუნველყოს, რომ გახსნილი მონაკვეთიდან ტურისტებმა და ადგილობრივებმა არ გადაკვეთონ ტერიტორია და აღკვეთოს მათი შესვლა ობიექტზე, სადაც ფაქტობრივი სამუშაოები მიმდინარეობს. აგრეთვე, ობიექტის საზღვრებთან დააყენებენ ბულვარის პოლიციას იმის	ობიექტის მენეჯერი მენეჯერი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დარგში ბულვარის პოლიცია
დაზიანებული ბულვარის ბეტონზე სიარული	ბულვარის დანგრეულ ბეტონში ჩავარდნის რისკი	საშუალო	დაზიანებული ბეტონიდან ჩავარდნის რისკის აღმოსაფხვრელად ტერიტორია გაიწმინდება დანგრეული ბეტონის ნარჩენებისგან, რომლებიც გატანილ იქნება შესაბამის ნაგავსაყრელზე	ობიექტის მენეჯერი

სიარული ისეთ ტერიტორიაზე, სადაც არის ბასრი რკინა	დამავება ბასრი რკინებით, რომლებიც შეიძლება არსებობდეს ტერიტორიაზე დანგრეული ბეტონის გამო	დაბალი	დანგრეული ბეტონიდან ბასრი რკინით გამოწვეული დაზიანების თავიდან ასაცილებლად ტერიტორია გაიწმინდება ბეტონის ნარჩენებისგან, რომლებიც შესაძლოა შეიცავდნენ ბასრ რკინას	ობიექტის მენეჯერი
დაუცველი ნაპირების მქონე ღრმულთან სიარული	დაუცველი ნაპირიდან ღრმულში ან ორმოში ჩავარდნა	საშუალო	დაუცველნაპირებიან ღრმულში ან დაუფარავ ორმოში ჩავარდნასთან დაკავშირებული ინციდენტების თავიდან ასაცილებლად მოეწყობა სათანადო ბარიერები, რათა ყურადღება გამახვილდეს საფრთხეზე ან შეიქმნას ფიზიკური ბარიერი საშიშროებასა და ადამიანებს შორის	მენეჯერი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დარგში
სიარული შესასვლელის ახლოს, სადაც საფეხმავლო და სატვირთო ა/მ გზები ერთმანეთს კვეთს	სატვირთო ა/მ შეჯახების რისკი ადგილობრივებთან ან ტურისტებთან ობიექტის მეორე შესასვლელთან არხ 1030-სთან, სადაც სატვირთო ა/მ-ებმა უნდა მოიტანონ მასალა და სადაც ქვეითთა გზა და ველოსიპედის ბილიკი კვეთს ერთმანეთს	ძალიან მაღალი	მეორე შესასვლელთან ქვეითთა გზის და ველოსიპედის ბილიკის გადაკვეთის ადგილზე სატვირთო ა/მ ქვეითებთან შეჯახების თავიდან ასაცილებლად სატრანსპორტო საშუალებების მიმოსვლის რეგულირება დაევალებათ ფლაგმანებს/ სტიუარდებს; ასევე უზრუნველყოფილ იქნება საგზაო უსაფრთხოების კონუსები, უსაფრთხოების ლენტები და უსაფრთხოების სხვა ნიშნები, რომლებიც მიაწვდიან უსაფრთხოების ინფორმაციას, გააფრთხილებენ სპეციფიური რისკის შესახებ ან აკრძალავენ არა-უსაფრთხო ქმედებას, ყურადღებას გამახვილებენ რისკებზე ან შექმნიან ფიზიკურ ბარიერს ადამიანსა და საფრთხეს შორის; იხ. ქვემოთ ნახ. 2 - ურთიერთქმედება სატრანსპორტო მოძრაობასა და სატვირთო ა/მ და პლაჟზე მიმდინარე აქტივობებს შორის	ფლაგმანი/ სტიუარდები სატვირთო ა/მ მძღოლები ოპერატორები

<p>საექსკავაციო სამუშაოები გასახსნელი პლაჟის მოსამზადებლად</p>	<p>დენის დარტყმის რისკი სადენებთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) კონტაქტის გამო; ასევე, ტერიტორიის ექსკავაციისას ექსკავატორით ან სხვა ტექნიკით მიწისქვეშა კომუნიკაციების დაზიანების რისკი</p>	<p>დაბალი</p>	<p>ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა მოგვაწოდა მიწისქვეშა კომუნიკაციების დეტალური გეგმა მოცემულ ტერიტორიაზე და ამ ტერიტორიაზე არ არის მიწისქვეშა კომუნიკაციები (იხ. ნახ. 1); აგრეთვე, ტერიტორია შემოწმდა და საჭირო კაბელები არ არის.</p>	<p>მენეჯერი გარემოს დაცვის დარგში</p>
<p>ცურვა გახსნის მონაკვეთის საზღვრებთან ახლოს</p>	<p>ობიექტზე შესვლის რისკი გახსნის მონაკვეთიდან, სადაც ფაქტობრივი სამუშაოები ზღვის მხრიდან ხორციელდება, მოცურავეების მიერ, რადგან ტერიტორიის საზღვრები შეიძლება ვერ შენიშნონ ცურვისას</p>	<p>საშუალო</p>	<p>მარკერი ტივტივები მოეწყობა ზღვაში ღია მონაკვეთის ხაზების ნაპირებში, რათა აღინიშნოს ზღვაში ღია მონაკვეთის ნაპირები და მიეთითოს ნებადართული ტერიტორია, რომელიც შეიძლება იქნას გამოყენებული საცურაოდ, საქართველოს ჰიდროგრაფიულ სამსახურთან კონსულტაციების საფუძველზე</p>	<p>ობიექტის მენეჯერი მენეჯერი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დარგში</p>
<p>საექსკავაციო სამუშაოები გასახსნელი პლაჟის მოსამზადებლად</p>	<p>ადგილობრივი მოსახლეობის და ტურისტების შეწუხების რისკი ტექნიკით და ობიექტზე მიმდინარე სამუშაოებით გაომწვეული ხმაურით</p>	<p>საშუალო</p>	<p>მოსამზადებელი სამუშაოების პერიოდში ღია მონაკვეთისთვის გაკონტროლდება ხმაურის მონიტორინგის ნორმალური დონე და ჩარატდება შესაბამისი ტესტები, რათა თავიდან იქნას აცილებული პლაჟზე ხალხის შეწუხება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (საქართველოს მთავრობის 2017 წ. 15 აგვისტოს დადგენილება # 398; ტექნიკური რეგულაციები - „შენობებში და საცხოვრებელი სახლების ტერიტორიებზე და სოციალურ/ საზოგადოებრივ დაწესებულებებში აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“)</p>	<p>მენეჯერი გარემოს დაცვის დარგში</p>

<p>საექსკავაციო სამუშაოები გასახსნელი პლაჟის მოსამზადებლად</p>	<p>მძიმე ტექნიკის დაზიანების ან სამუშაო აქტივობების გამო პლაჟის დაბინძურების შესაძლებლობის რისკი</p>	<p>დაბალი</p>	<p>კონტრაქტორი იყენებს მხოლოდ შემოწმებულ და გამართულ ტექნიკას; უზრუნველყოფს ნავთობის დაღვრაზე რეაგირების აღჭურვილობას (საფენებს და ბარიერებს) ობიექტზე და მძიმე ტექნიკისთვისაც, გარდა ამისა, ყოველდღე იწარმოება მძიმე ტექნიკის ინსპექტირების საკონტროლო ნუსხა; ყველა თანამშრომელს გავლილი აქვს ტრენინგი გარემოსდაცვით საგანგებო სიტუაციებში</p>	<p>მენეჯერი გარემოს დაცვის დარგში</p>
<p>სამუშაოები ზაფხულის სეზონის განმავლობაში</p>	<p>ადგილობრივი მოსახლეობის მზარდი შემფოთება ზაფხულის სეზონზე ტურისტულ ბიზნესთან დაკავშირებით ინფორმაციის უქონლობის გამო და მათ ბიზნესში სამუშაო აქტივობების ჩარევის გამო</p>	<p>საშუალო</p>	<p>პლაჟის მონაკვეთის გახსნამდე ბათუმის მერიაში მოეწყობა საჯარო კონსულტაციები დაინტერესებული მხარეებისთვის და ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ჩატარდება პრეზენტაციები გარემოსდაცვით, სოციალურ და ჯანდაცვის საკითხებზე ზაფხულის პერიოდში</p>	<p>მენეჯერი ჯანმრთე ლობისა და უსაფრთ ხოების დარგში სოციალ ური მენეჯერი</p>



ნახ. 1. სატრანსპორტო მიმოსვლის რუკა, მიმომსვლელ სატრანსპორტო საშუალებებსა და სანაპიროზე მიმდინარე აქტივობებს შორის ურთიერთქმედების მითითებით



ნახ. 2. სატრანსპორტო მიმოსვლის რუკა, მიმომსვლელ სატრანსპორტო საშუალებებსა და სანაპიროზე მიმდინარე აქტივობებს შორის ურთიერთქმედების მითითებით

ოპერატიული მითითებები კონტრაქტორის და უნიციპალიტეტისთვის

კონტრაქტორი პასუხისმგებელია მოსამზადებელ სამუშაოებზე სანაპიროს (პლაჟის) გახსნისთვის, სახელდობრ, დანგრეული ბეტონისა და ლითონის ბასრი ნამტვრევებისგან ტერიტორიის გაწმენდაზე, პლაჟისთვის სათანადო დაქანების უზრუნველყოფაზე, გახსნილი მონაკვეთების საზღვრების სათანადოდ მონიშვნაზე ღობის და ზღვაში ტივტივების საშუალებით, განაპირა შეღობვაზე უსაფრთხოების ნიშნების დაყენებაზე, ფლაგმანის დანიშვნაზე სატრანსპორტო მიმოსვლის სამართავად იმ მონაკვეთებზე, სადაც სატრვირთო მანქანებისა და ქვეითების გზები ერთმანეთს კვეთს, ბუფერული ზონების მოწყობაზე გახსნილ მონაკვეთსა და იმ ტერიტორიას შორის, სადაც ფაქტობრივად მიმდინარეობს სამუშაოები, და ა.შ. კონტრაქტორი მოამზადებს პრეზენტაციას Power Point-ში ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და დაინტერესებულ მხარეთა ნიერ საჯარო განხილვისა და მსჯელობისთვის. კონტრაქტორი პასუხისმგებელია მოსახლეობის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გეგმის მომზადებაზე და დოკუმენტის წარდგენაზე კლიენტისთვის (მგფ). კონტრაქტორი პასუხისმგებელია სამუშაოებზე, რომლებიც მიმდინარეობს სამუშაო ტერიტორიაზე და შეიძლება იმოქმედოს გახსნილ პლაჟზე მყოფი ადამიანების ჯანმრთელობაზე.

ადგილობრივი მუნიციპალიტეტი პასუხისმგებელი იქნება ზაფხულის პერიოდში პროექტის არეალში გახსნილი ტერიტორიის უსაფრთხო მართვაზე (ისევე, როგორც ზოგადად ბათუმის ფუნქციონირებად სანაპირო ზოლზე - პლაჟზე), რომელიც ტურისტული სეზონის განმავლობაში ასევე იფუნქციონირებს, როგორც მუნიციპალური პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფი პლაჟი.

ბათუმის დასუფთავების სამსახური პასუხისმგებელი იქნება სანიტარულ ზედამხედველობაზე, რათა უზრუნველყოს ღია მონაკვეთზე წარმოქმნილი ნებისმიერი ნარჩენის გატანა მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ლოკაციები და ხანგრძლივობა:

პერიოდი 15/06/2018 წ.-დან 30/09/2018 წ.-მდე	არხიდან:	არხამდე:
სანაპიროს გახსნის რაიონი	არხი -0.000	არხი -0.350
პროექტის რაიონი. სამუშაოები არ ტარდება	არხი -0.350	არხი -0.730
გახსნილი სანაპირო	არხი - 0.730	არხი -0.980
ბუფერული ზონა	არხი -0.980	არხი -1.030
პროექტის რაიონი. სამუშაოები ტარდება ამ რაიონში	არხი -1.030	არხი -2.000

- სანაპიროს გახსნის რაიონები

ეს ადგილები ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის

- პროექტის რაიონი. სამუშაოები არ ტარდება

ეს რაიონი მაინც პროექტის რაიონს წარმოადგენს. სამუშაოები ჩატარდება სანაპიროს გახსნამდე და მის შემდეგ.

- ბუფერული ზონა:

ეს ზონა ეკუთვნის პროექტის რაიონს. ამ ზონას შევქმნით სანაპიროს გახსნილ ზონასა და სამუშაო რაიონს შორის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

- პროექტის რაიონი. სამუშაოები ამ რაიონში:

ამ რაიონში ჩატარდება მე-7 თავში აღწერილი სამუშაოები.

სამუშაოები

სამუშაო ობიექტზე ჩატარდება შემდეგი სამუშაოები:

- სანაპიროს ექსკავაცია ნაპირსამაგრების ასაგებად;
- დაზიანებული და დანგრეული ბულვარის აღება;
- ქვის ნაპირსამაგრის მოწყობა;
- პარაპეტის აგება ნაპირსამაგრზე;
- ლითონის შპუნტების მოთავსება;
- სანაპიროზე გასასვლელების და წყალგამტარების მოწყობა სანაპიროს გასწვრივ ნაპირსამაგრის გაყოფით;
- სადრენაჟო სისტემისა და ბულვარის ქვაფენილის მოწყობა.

სანაპიროს გახსნისთვის არ არის [გათვალისწინებული] საკონტრაქტო სამუშაოების რაოდენობრივი ზრდა და არ მოქმედებს კონტრაქტორის გრაფიკზე.

მუშახელი

თანამდებობა	რაოდენობა
ობიექტის მენეჯერი	1
მენეჯერი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დარგში	1
გარემოსდაცვითი საკითხების მენეჯერი	1
სოციალური საკითხების მენეჯერი	1
ტოპოგრაფი-ინსპექტორები	2
ექსკავატორის ოპერატორები/ მუხლუხო ამწის ოპერატორები	5
ბორბლიანი დამტვირთავის ოპერატორები	1
სატვირთო მანქანის მძღოლები	20
ხელოსანი	18
ფლაგმანები	3
სულ	53

ტექნიკური რესურსები სამუშაო რაიონში

#	ტექნიკური რესურსების/ აღჭურვილობის აღწერა:	ტიპი, აღწერა:	რაოდენობა:
1	ექსკავატორ(ებ)ი	40 ტონა -60 ტონა	2
2	ექსკავატორ(ებ)ი ჩამჩიანი ან ჰიდრავლიკური სანგრევი ჩაქუჩით	25 ტონა - 40 ტონა	5
3	ბულდოზერი	Cat D6 ან Cat D7 ან ანალოგიური	2
4	თვითმცლელი	15 მ ³ – 20 მ ³	20
5	ბორბლიანი დამტვირთავი	Cat 966 ან Cat 980 ან ანალოგიური	2
6	მუხლუხო ამწე ჰიდრავლიკური ვიბრატორით	ICE ან ანალოგიური	1
9	ტელესკოპური ამწე	60 ტონა	
10	გენერატორის კომპლექტი	20 კვა	3
11	ბეტონმრევი	6~9 მ ³	3
12	ბეტონის ტუმბო	20 მ ³ საათში	1
13	კონტეინერები	20 ფუტი	5
14	საოფისე კონტეინერები	20 ფუტი	5
15	სატრანსპორტო საშუალებები	Toyota Hi-Lux	3
16	სიღრმის საზომი ტოპოგრაფიულ- გეოდეზიური აღჭურვილობა	V-OFF170010	1
17	GPS სისტემა ინსპექტირებისთვის	Trimble SPS985L	1
18	ნავი ინსპექტირებისთვის		1
19	დრონი – კვადროკოპტერი		1

ესკიზები





